საქმე # 1401001180022962**90**
№1/46-18

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

“ 02 “ მარტი, 2018 წელი **ქ. გორი**

გორის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე **ნიკოლოზ მარსაგიშვილმა**

მანანა შოთაშვილის მდივნობით,
სახელმწიფო ბრალმდებლის - **ი----------შვილის,**
ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის - **ტ---- რ-----ძის,**
ბრალდებულ **ზ------ მ----ძის**

მონაწილეობით, არსებითი განხილვის ღია სასამართლო სხდომაზე გა--ხილა სის-ხლის სამართლის საქმე ბრალდების გამო:

ზ------ შ----—ს-ძე მ----ძის (დაბადებული 1---წლის 2--------, საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 5----------, დაოჯახე-ბული, უმაღლესი განათლებით, ნასამართლობის არმქონე, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ქ----------------------------ში) მიმართ, რომელსაც ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე მუხ-ლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ - ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

2018 წლის 09 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართვე-ლოში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის №0---------- საქმეზე, ზ------ მ-----ძის მიერ მეუღლის - ა----------შვილის მიმართ ოჯახში ძალადობის ჩადენის ფაქ-ტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

ზ------ მ----ძე ბრალდებულად დაკავებულ იქნა 2018 წლის 09 იანვარს, 15

საათსა და 05 წუთზე. 2018 წლის 11 იანვარს მას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანა-შაულის ჩადენისათვის და გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩა პატიმრობა.

2018 წლის 19 თებერვალს, წინასასამართლო სხდომაზე, ზ------ მ----ძის მიმართ გამო-ყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა შეიცვალა გირაოთი 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით და ბრალდებული გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან
ზ------ მ----ძეს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა **ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯა-ხის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხ-ლით გათვალისწინებული შედეგი.**

ბრალდების შესახებ დადგენილებისა და საქმის მასალების მიხედვით ზ------ მ----ძის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგ გარემოებებში:

2018 წლის 9 იანვარს, დაახლოებით 14[00] საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ზ------ მ----ძემ ქ-–---------–----------–----------ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ტა--ს არეში ხელისა და ფეხის დარტყმით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს ა----------შვილს, რომელმაც გა--ცადა ფიზიკური ტკივილი.

დასკვნითი სიტყვის წარდგენისას **სახელმწიფო ბრალმდებელმა ი---------შვილმა** აღნიშნა, რომ სასამართლოში წარმოდგენილი და წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა შეთანხმებით უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებებით დადგენილი პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტებითა და გარემოებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ზ------ მ----ძისათვის წაყენებული ბრალდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრო-კურორმა იშუამდგომლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის დამნა-შავედ ცნობა, ***(იხ. 2018 წლის 02 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი).***

ზ------ მ----ძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. აღნიშ-ნული გარემოებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს და არ გააჩნია მის მიმართ პრეტენზია, დაცვის მხარემ იშუამდგომლა ბრალდებულისათვის ისეთი სასჯელის და--შვნა, რაც დაკავშირებული არ იქნება თავისუფლების აღკვეთის რეალურ მოხდასთან, ***(იხ. 2018 წლის 02 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი).***

სასამართლომ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიაჩნია,

რომ **ზ------ მ----ძის** მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, გარდა მისი აღიარე-ბისა, უტყუარად არის დადასტურებული საქმეზე შეკრებილ და ერთმანეთთან შეთან-ხმებულ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომლებიც მხარეთა მიერ მიჩნეულია ზ------ მ----ძის ბრალდების დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებებად, კერძოდ:

- დაზარალებულ ა----------შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 17-19);**
- მოწმე თ----–----შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 34-36);**
- მოწმე დ----------შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 37-38);**
- მოწმე ო----------შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 48-50);**
- მოწმე მ-----–-------შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 58-59);**
- მოწმე ლ--------შვილის გამოკითხვის ოქმით, **(ს.ფ. 51-53);**
- შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, **(ს.ფ. 27-33);**
- ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებით, რაც სხვა მტკიცებულებებსა და საპრო-ცესო დოკუმენტებთან **(იხ. საქმის მასალები)** ერთობლიობაში უტყუარად ადასტურებს ზ------ მ----ძის მიმართ წარდგენილ ბრალდებას.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეჯერებული, ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად დასტურდება ზ------ მ----ძის მიერ მისთვის ინკრიმინირებული დანაშა-ულის ჩადენის ფაქტი. კერძოდ, დადგენილია, რომ ზ------ მ----ძემ ჩაიდინა საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვა-ლისწინებული დანაშაული - ოჯახში ძალადობა, ესე იგი - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყო-ლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათ-ვალისწინებული შედეგი;

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის და--შვნისას სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს - ჩადენილი დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამ-ნაშავის წარსულ ცხოვრებას.

კერძოდ, როგორც ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ზ------ მ----ძე აღიარებს ჩადენილ დანა-შაულს. მან აგრეთვე ხელი შეუწყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორ-ციელებას. ზ------ მ----ძის სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულ ინდა იქნას ის ფაქტიც, რომ დაზარალებული შეურიგდა მას.

სასჯელის და--შვნის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ბრალდებულის პიროვნება და წარსული ცხოვრება, მის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების ხასიათი, ძალადობის გამოხატვის ფორმა და სიმძიმე.

ერთობლიობაში ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სანქციის (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე) ფარგლებში ზ------ მ----ძეს სასჯელად უნდა დაენიშ-ნოს თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) თვის ვადით. ამასთანავე, ვინაიდან ზ------ მ-----ძის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე დანაშაული, იგი ნასამართლობის არმქონეა და აღიარებს დანაშაულს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მისთვის და--შნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს პირობითად.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ზ------ მ----ძის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება, მის მიერ რეალურად მოხდილი სასჯელის ვადის გათვალისწინებით, სრულად უზ-რუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას, კერძოდ - სამართლიანობის აღდგე-ნას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდე-ქსის 258-ე, 259-ე, 260-ე, 269-ე, 272-ე, 273-ე, 274-ე, 277-ე, 278-ე, 292-ე, 293-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ზ------ შ----—-ს-ძე მ----ძე** ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის **126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა **9(ცხრა) თვის ვადით,** რაც ამავე კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლების შესაბა-მისად, **ჩაეთვალოს პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 1(ერთი) წელი;**

2. **ზ------ მ----ძის** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდეს;

3. **ზ------ მ----ძეს** სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებისა და პატიმრო-ბაში ყოფნის დრო - **2018 წლის 09 იანვრიდან 2018 წლის 19 თებერვლის ჩათვლით;**

4. გამოსაცდელი ვადის პერიოდში მსჯავრდებულ ზ------ მ----ძის ყოფაქცევის კონტროლი და დახმარება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს - **შიდა ქართლის პრობაციის ბიუ-როს** ზ------ მ----ძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით - **ქ-—----------—----------;**

5. **ნივთიერი მტკიცებულება -** ქურთუკის საყელო, რომელიც ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს გორის რაიონული სამმართველოს შენობაში - შეზღუდვების გარეშე დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

6. განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას;

7. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გორის რაიო-ნული სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე:

ნიკოლოზ მარსაგიშვილი